

2

ბუნება

მოსწავლის წიგნი

გიორგი კვანტალიანი • ლელა მიქიაშვილი • თამარ კვანტალიანი



გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს.

შინაარსი

1

აღაიიანის სხული და მისი ნაწილაჲი

1. სხული და მისი ნაწილები..... 6
2. გავუფრთხილდეთ სხულის ნაწილებს 8
3. თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო..... 10
4. ჩვენ ვიზრდებით და ვიცვლებით 12
5. ჯანსაღი ქცევები და დღის რეჟიმი 14

2

სოსხალი გარეჲო - სოველაჲი

6. ცოცხალი და არაცოცხალი 16
7. ცხოველები ც იზრდებიან..... 18
8. შინაური ცხოველები – ძუძუმწოვრები 20
9. ტყის ნადირი..... 22
10. ტყის ნაირსახეობები 24
11. ფრინველები..... 26
12. მხოხავი ცხოველები..... 28

3

სოსხალი გარეჲო - მსენარეჲი

13. მცენარეები და მათი ნაწილები..... 30
14. რას გვიამბობს მზესუმზირას თესლი? 32
15. ჩემი ხე 34
16. ტყე შეუნახე შვილებსა..... 36

4

საქვაჲი მსენარეჲი

17. ხილი და ბოსტნეული 38

5**წელიწადის დროები - თვეები და სეზონები**

- 18. თვეები და სეზონები 40
- 19. ამინდი და წელიწადის დროები..... 42
- 20. წელიწადის დროები – სითბო და სიცივე 44
- 21. როგორ ჩნდება წვიმა? 46

6**ბუნებრივი რესურსები**

- 22. წყალი ბუნებაში 48

7**ჰაერი**

- 23. ჩვენ გარშემო ჰაერია 50
- 24. როგორ მოძრაობს ჰაერი? 52

8**ბუნებრივი რესურსები - ნიადაგი და სასარგებლო წიაღისეული**

- 25. ნიადაგი და სასარგებლო წიაღისეული 54
- 26. მაგნიტი 56
- 27. ვულკანები 58

9**წარსულის ნაკვალავი**

- 28. სად ცხოვრობენ ადამიანები? 60
- 29. რას გვიმაღავს მინა 62

10

ჩვენ და ბუნება

30. როგორ ცვლის ადამიანი გარემოს 64

31. ნაგავი ჩვენ ირგვლივ 66

32. დავიცვათ გარემო! 68

33. უსაფრთხოების სადარაჯოზე 70

34. ჩვენ და ნამლები 72


35. უსაფრთხო დასვენება ბუნებაში 74

36. გავუფრთხილდეთ ბუნებას!..... 76

37. საქართველო ჩემი სამშობლოა!..... 78

სხეული და მისი ნაწილები

- ჩამოთვალე ისრით მინიშნებული სხეულის ნაწილები:



დაიმახსოვრა

ადამიანის სხეულის ნაწილებს განსაკუთრებული დაცვა, მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

საპარჯიშოები

- 1 შეხედე დაფას. რა ფერისაა იგი?
- 2 დაარტყი კალამი მერხს. რა გაიგონე?
- 3 წიგნი მიიტანე ცხვირთან და ჰაერი შეისუნთქე. რა იგრძენი?
- 4 თითი მიაჭირე კალმის წვერს. რა იგრძენი?
- 5 წინაკას ენა რომ დაადო, რას იგრძნობ?

გაიხსენა

რას რით შევიგრძნობთ?


ზარი რეკავს.

ბალახი მწვანეა.

ლიმონი მჟავეა.

ბუმბული რბილია.

სუნამო ასხია.



ეთანხმები თუ არა


1. კანის სისუფთავისთვის საჭიროა ტანის დაბანა თბილი წყლითა და საპნით.
2. ადამიანმა ხელ-პირი ყოველ დილა-სალამოს უნდა დაიბანოს.
3. ხელების სისუფთავისთვის აუცილებელია ფრჩხილების დაჭრა.

დაიმახსოვრა

ყური, თვალი, ენა, ცხვირი, კანი – გრძნობის ორგანოებია.

გავუფრთხილეთ სხაუნის ნაწილს

- ჩამოთვალე, რა არის ისრით მინიშნებული:



- აიღე ხელში სახელმძღვანელო, მკლავები წინ გაშალე, რიგრიგობით მიიფარე ხელი თვალზე და წაიკითხე ჩარჩოში მოცემული წინადადებები:
 - ა) მარჯვენა თვალით, ბ) მარცხენა თვალით, გ) ორივე თვალით.

- სიბნელეში საგნები არ ჩანს.
- კითხვის დროს წიგნს ჩრდილი არ უნდა ეცემოდეს.
- კომპიუტერთან დიდი ხნით ჯდომა თვალს აზიანებს.
- დანოლილ მდგომარეობაში კითხვა თვალს ღლის.

ყურების დაზიანების შემთხვევაში ადამიანს სმენა უქვეითდება.

ყურები ბამბით ფრთხილად უნდა გამოიწმინდოს.



ოფლიანი და ცხიმოვანი კანი ადვილად იკრავს მტვერს. ჭუჭყიანმა კანმა კი, შესაძლოა, დაავადება გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა სხეულის ხშირად დაბანა.



თმასაც მოვლა სჭირდება.

თავი თბილი წყლითა და შამპუნით უნდა დაიბანოს.



 **დაიზიანება**

მხედველობა რომ არ დაიზიანოს, წიგნს და რვეულს თვალებთან ახლოს ნუ მიიტან.

თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო...

გაიხსენა

1. რისთვის სჭირდება ადამიანს საკვები?
2. რისგან ამზადებენ ადამიანისთვის საჭირო და სასარგებლო საკვებს?

- ჩამოთვალე ისრით მინიშნებული სხეულის ნაწილები:



- ქვემოთ მოცემული სურათებიდან დაასახელე 4 ისეთი საკვები, რომელიც ძალიან ტკბილია და საზიანოა კბილებისათვის:



ღაიმახსოვრა

თუ გინდა, რომ ჯანსაღი კბილები გქონდეს, აუცილებლად ჭამე რძის ნაწარმი!

- სურათის მიხედვით დაასახელე მცენარეული და ცხოველური საკვები:



სავარჯიშოები

ზეპირად დაასრულე წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

- დაიბანო
- ლაპარაკი
- დაღეჭო
- სალამოს

- ა) ჭამის წინ ხელი აუცილებლად საპნით უნდა ____ .
- ბ) სანამ ლუკმას გადაყლაპავ, საჭმელი კარგად უნდა ____ .
- გ) ჭამის დროს არ შეიძლება სიცილი და ____ .
- დ) კბილები უნდა გამოიხეხო დღეში ორჯერ: დილით და ____ .